სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ანგარიში

2024 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული ციკლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების თაობაზე, ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების განვითარების, საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების, განათლების ინტერნაციონალიზაციისა და ცენტრის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებებით.

დოკუმენტში წარმოდგენილია შვიდი თავი, რომელებშიც აღწერილია ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში შესრულებული საქმიანობის აღწერა. მოცემული ანგარიში ემსახურება ცენტრის ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას, რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმირებას.

სარჩევი

შესავალი 1

აბრევიატურა 4

თავი I - ცენტრის ინსტიტუციური განვითარება 6

საკოორდინაციო საბჭო 6

2025 წლის სამოქმედო გეგმა 7

კვლევები და ანალიზის დოკუმენტები 7

სტრატეგიის შუალედური შეფასება 7

ციფრული კომპეტენციების კვლევა 8

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა საქმიანობის ანალიზი 8

თემატური ანალიზის საერთაშორისო პრაქტიკა და წესის შემუშავება 8

თემატური ანალიზი 9

მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა 9

შიდა ხარისხის უზრუნველყოფა 10

ადამიანური რესურსების მართვა 10

ავტორიზაციისა და საგანმანათლებელო პროგრამული აკრედიტაციის საბჭოების განახლება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება 10

ფინანსური რესურსების მართვა 11

საქმისწარმოება 12

მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა 12

შიდა აუდიტი 12

ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 13

სტრატეგიული კომუნიკაციები 13

შრომის უსაფრთხოება 14

თავი II - საერთაშორისო ურთიერთობები 14

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაცია - ENQA-ში სრული წევრობისა და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში - EQAR რეგისტრაციის განახლება 14

გლობალური კონვენცია 16

ბოლონიის სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და საერთაშორისო ვიზიტები 16

გაფორმებული მემორანდუმები 21

საერთაშორისო ვალდებულებები და მათი მონიტორინგი 22
ERASMUS + პროგრამები 23
Micro-GEAR 23
PROFFORMANCE+ 23
ETHICS 23
HEAL 24
DUGEOR 24
PRODIGE 25
თავი III - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 25
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი 28
კვალიფიკაციების განვითარება 29
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარება 29
თავი IV - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 30
არაფორმალური განათლება 32
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა 32
თავი V - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 33
თავი VI - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 34
თავი VII - საგანმანათლებლო სერვისების განვითარება 35
საგანმანათლებლო სერვისების განვითარება - სტატისტიკა 37

აბრევიატურა

AI - ხელოვნური ინტელექტი;
AQAS - გერმანიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო;
CAF - საერთო შეფასების ჩარჩო (Common Assessment Framework);
Cedefop - პროფესიული განათლების განვითარების ევროპული ცენტრი;
CEENQA - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო;
CIMEA - იტალიის აკადემიური შესაბამისობისა და მობილობის საინფორმაციო ცენტრი;
DLR - Disbursements Linked Results;
DUGEOR - საქართველოს უმაღლეს განათლებაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება;
EAIE - ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაცია;
e-APP - ელექტრონული აპოსტილის პროგრამა;
EDEC - განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი;
EEA - ევროპული განათლების სივრცე;
e-Flow - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა;
EHEA - ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე;
EIPA - საჯარო ადმინისტრირების ევროპული ინსტიტუტი;
EMBA - ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში მაგისტრი;
ENIC-NARIC Network - ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი;
ENQA - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია;
ERASMUS + - ევროკავშირის პროგრამა ევროპაში განათლების, ტრენინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის მხარდაჭერისთვის;
EQAR - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრი;
EQAVET - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი;
ESG 2015 - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები;
ESU - ევროპის სტუდენტთა ასოციაცია;
ETF - ევროპული ტრენინგების ფონდი;
ETHICS - კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში;
EUA - ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია;
EURASHE - ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ასოციაცია;
GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი;
HAKA - ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო განათლების მიმართულებით;
HCCH LRC - ჰააგის კონვენცია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღიარების შესახებ;
HEAL - განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურების გაძლიერება და ექიმ-სტომატოლოგთა უწყვეტი განათლების ხელშეწყობა საქართველოში;
ICT - ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები;
JICA - იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო;
IBRD - რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი;

Micro-GEAR - მიკროკრედიტები საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემებისთვის: სამხრეთ კავკასიის შუქურა;
NAFSA - საერთაშორისო განმანათლებელთა ასოციაცია;
OCTRA 2 - პროექტი Online course catalogues and databases for transparency and recognition 2;
PAR - საჯარო ადმინისტრირების რეფორმა;
PAT - სწავლა-სწავლების შეფასების ინსტრუმენტი;
PLA - გამოცდილების გაზიარების ღონისძიება;
PROFFORMANCE+ - ერასმუს პლიუსის პროექტი;
PRODIGE - ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში;
SICI - ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონული ინსპექტორიატების ასოციაცია;
TAICEP - განათლების აღიარების საერთაშორისო შეფასების პროფესიონალთა ასოციაცია;
TPG A on QF - ბოლონიის პროცესის კვალიფიკაციების ჩარჩოს ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი A;
TPG B LRC - ბოლონიის პროცესის თემატური სამუშაო ჯგუფი B - ლისაბონის აღიარების კონვენციის შესახებ;
TPG C QA - ბოლონიის პროცესის თემატური სამუშაო ჯგუფი C - ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ;
TPG D on SD - ბოლონიის პროცესის თემატური სამუშაო ჯგუფი D - სოციალური განზომილება;
Twinning - საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი, „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“;
WG on L&T - ბოლონიის პროცესის სწავლა-სწავლების სამუშაო ჯგუფი;
WFME - სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია;
UNICEF - გაეროს ბავშვთა ფონდი;
USAID - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო.

თავი I - ცენტრის ინსტიტუციური განვითარება

საკოორდინაციო საბჭო

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის - ENQA-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ცენტრის გარე შეფასების ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები ხელს უწყობს ცენტრის დამოუკიდებლობის ხარისხის მნიშვნელოვან ზრდას, რაც მოცავს: ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს კიდევ უფრო მეტი მმართველობითი ფუნქციებით აღჭურვას, მისი წევრების შერჩევის პროცედურების სრულყოფას, წევრთა უფლებამოსილების ვადის, ცენტრის დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების პროცედურებში საბჭოს აქტიური როლის გაზრდას.

ცვლილებით განისაზღვრა საკოორდინაციო საბჭოს წევრის შერჩევის პროცედურა. კერძოდ, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ, რომ თავად წარადგინონ საკოორდინაციო საბჭოს წევრობის კანდიდატები. ცვლილება ასევე ითვალისწინებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციისა (ENQA) და სხვა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩართულობას საკოორდინაციო საბჭოს წევრობის კანდიდატის შერჩევის პროცესში, რომლებშიც ცენტრია გაწევრიანებული. საქმიანობის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საკოორდინაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადა ორიდან- ოთხ წლამდე გაიზარდა.

ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ცენტრის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცესში. კერძოდ, ისინი შედიან ცენტრის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევ კომისიაში (კომისიის 1/3 შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნება საკოორდინაციო საბჭო). ასევე, ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატის შეთანხმება საკოორდინაციო საბჭოს მიერ ხდება.

2024 წლის 13 ნოემბერს საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა განახლდა, რომელშიც შედიან როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც წარმოადგენენ განათლების სხვადასხვა საფეხურს.

ცენტრის განახლებულმა და წინა საკოორდინაციო საბჭომ, 2024 წლის განმავლობაში განიხილა და შეითანხმა განათლების სისტემისთვის და ცენტრისთვის, როგორც ინსტიტუციისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. ჯამში ჩატარდა ოთხი შეხვედრა, აქედან, 1 შეხვედრა ჩატარდა განახლებული საკოორდინაციო საბჭოს მიერ. მათ განიხილეს და შეითანხმეს:

- ✓ “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ “საქართველოს კანონსა და და ცენტრის დებულებაში შესატანი ცვლილებები;
- ✓ ცენტრის ENQA-ში გაწევრიანებისა და EQAR-ში რეგისტრაციის საკითხები; ENQA-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციები და განვითარების შესაძლებლობები;
- ✓ ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურის შერჩევის საკითხი;
- ✓ საკოორდინაციო საბჭოს შერჩევის წესის პროექტი;
- ✓ ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის შუალედური შეფასება;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში შესატანი ცვლილებები;
- ✓ 2021-2025 წლების სტრატეგიის 2025 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი;
- ✓ ცენტრის 2023 წლის წლიური ანგარიში;

- ✓ ცენტრის ფინანსური ანალიზი;
- ✓ ცენტრის შინაგანაწესში შესატანი ცვლილებები;
- ✓ ბიზნესპროცესების ახალი ნუსხა;
- ✓ ცენტრის თემატური ანალიზის განხორციელების წესის პროექტი;
- ✓ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგის ანგარიში.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმები და წევრების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ცენტრის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, პირველად გაიმართა პირისპირ საკოორდინაციო საბჭოს გასვლითი შეხვედრა, სადაც საკოორდინაციო საბჭო, ,, მათ შორის, საერთაშორისო წევრების მონაწილეობით სრულად იყო წარმოდგენილი. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში 2023 წლის საქმიანობის მოკლე ანგარიში განიხილეს, მონაწილეებმა შემდგომი განვითარებისთვის იმსჯელეს ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის შუალედურ შეფასებაზე, ENQA-ს მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებზე, საუკეთესო პრაქტიკებსა და შეთავაზებებზე. ამასთან, განიხილეს ცენტრის მიმდინარე აქტივობები, განვითარების ხედვა და სამომავლო გეგმები.

2025 წლის სამოქმედო გეგმა

ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული ციკლის ბოლო - 2025 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება 2024 წლის სექტემბერში დაიწყო. ცენტრის სამსახურების მიერ თითოეული სტრატეგიული მიზნისთვის შემუშავდა აქტივობები, შესაბამისი ინდიკატორებით, მტკიცებულებებით, შესრულების ვადებით და რესურსებით. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მიზნით, სამოქმედო გეგმის პროექტი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს წარედგინა. ჩატარებულ შეხვედრებს, ონლაინფორმატში 350-მდე პირი დაესწრო, მათ შორის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების წარმომადგენლები, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ბაღების გაერთიანებების, რესურსცენტრების წარმომდგენლები, ავტორიზაციის, აკრედიტაციის, სააპელაციო საბჭოების წევრები და ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსების წევრები. საბოლოო პროექტი ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შესათანხმებლად 2024 წლის 25 დეკემბერს წარედგინა ცენტრის 2025 წლის სამოქმედო გეგმა ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცდა და ქართულ და ინგლისურ ენებზე ცენტრის ვებგვერდზე განთავსდა.

კვლევები და ანალიზის დოკუმენტები

სტრატეგიის შუალედური შეფასება

2025 წელს, ცენტრი იწყებს ახალი ხუთწლიანი სტატეგიის განვითარებაზე მუშაობას, შესაბამისად, 2024 წელს განხორციელდა ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების შუალედური შეფასება. აღნიშნული შეფასება საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ორი საერთაშორისო ექსპერტის და ადგილობრივი კონსულტანტის მიერ, ევროკავშირის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. მიზნებისა და ამოცანების მიხედვით შეფასდა მიმდინარე სტრატეგია, გამოვლინდა გამოწვევები და განვითარების

შესაძლებლობები. შეფასების დოკუმენტში ასახულია ცენტრის მიღწევები, საუკეთესო პრაქტიკები და შეთავაზებულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდისთვის რეკომენდაციები. შუალედური შეფასების რეკომენდაციების ნაწილში აქცენტი გაკეთდა როგორც ცენტრის ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განათლების ოთხივე საფეხურზე, ეროვნული კვალიფიკაციების განვითარებისა და ცენტრის სერვისების გაციფრულების მიმართულებით. შედეგები გამოყენებულ იქნება ცენტრის განვითარების მიმართულებით, მათ შორის, 2026-2030 წლების ხუთწლიანი სტრატეგიის შემუშავებისას.

ციფრული კომპეტენციების კვლევა

2024 წელს, განხორციელდა ცენტრის თანამშრომლების ციფრული კომპეტენციების მიმართულებით არსებული საჭიროებების შესწავლა, შემდგომი განმავითარებელი ღონისძიებების დასაგეგმად. აღნიშნული კვლევის მიზანშეწონილობა განაპირობა ცენტრის თანამშრომელთა მიერ განხორციელებული CAF თვითშეფასების მიგნებებმა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 74-მა რესპონდენტმა. მონაცემთა დამუშავების შედეგად გამოვლინდა საჭიროებები და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები.

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა საქმიანობის ანალიზი

2024 წელს, ცენტრმა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსების საქმიანობის შეფასების პრაქტიკის ანალიზი, უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებებით მოამზადა. დოკუმენტი მიზნად ისახავდა ექსპერტთა საქმიანობის შეფასების არსებული პრაქტიკის შესწავლას შეფასების ოპტიმალური მოდელის განვითარებისთვის. კვლევის ფარგლებში შესწავლილი და შედარებული იქნა ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული წესები ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის შეფასების თაობაზე არსებული პრაქტიკა ექსპერტთა საქმიანობის შეფასების მიმართულებით, ექსპერტთა საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები (შეფასების კითხვარები).

ინდივიდუალური და ჯგუფური ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები სამივე მიმართულების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან ჩატარდა, რომლებიც თავად მონაწილეობენ ექსპერტთა საქმიანობის შეფასების, მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ანგარიშის მომზადების პროცესებში.

ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მიზანშეწონილია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში არსებობდეს ექსპერტთა საქამიანობის შეფასების მსგავსი მეთოდოლოგია, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ექსპერტთა შეფასების მონაცემების შეგროვების ეტაპებსა და პერიოდულობას. ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს შეფასების შედეგად შეკრებილი მონაცემების ანალიზისა და შემდგომი რეაგირების თანმიმდევრული მექანიზმები.

თემატური ანალიზის საერთაშორისო პრაქტიკა და წესის შემუშავება

2024 წელს, განხოციელდა თემატური ანალიზის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, რომლის მიზანი იყო ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (HAKA) მაგალითზე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. დოკუმენტში განხილულია HAKA-ს მიერ შემუშავებული ხარისხის სახელმძღვანელო, რომელშიც აღწერილია თემატური ანალიზის

ძირითადი პრინციპები და პროცესები, ცენტრისა და HAKA-ს მაგალითზე წარმოდგენილია შედარებითი ანალიზი, რომელიც ეხება მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის შედეგად, განახლდა ცენტრის თემატური ანალიზის განხორციელების წესი, რომელიც არის უნიფიცირებული და ყველა სტრუქტურულ ერთეულზე ორიენტირებული. მისი შემუშავებისას ასევე გათვალისწინებულია ENQA-ს რეკომენდაცია, რომლის მიხედვით ცენტრმა უნდა გამოიყენოს Twinning-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგია და შესაბამისად განავითაროს თავისი სტრატეგიული მიდგომა რეგულარული და სისტემატური თემატური ანალიზის ჩასატარებლად. „თემატური ანალიზის განხორციელების წესი“ ეფუძნება უმაღლესი განათლების ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG 2015), ასევე, Twinning-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ჩარჩო დოკუმენტს.

თემატური ანალიზი

განხორციელდა თემატური ანალიზი „კლასტერული აკრედიტაციის პირველი ტალღა: გამოცდილებები, მიღწევები და გამოწვევები“. თემატური ანალიზის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ეფუძნება საქართველოში დანერგილი კლასტერული აკრედიტაციის მოდელის განხორციელების პირველი ეტაპის კრიტიკული ანალიზის შესწავლას და პროცესში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას. შეფასდა კლასტერული აკრედიტაციის მექანიზმის შესაბამისობა წინასწარ დასახულ მიზნებთან. განისაზღვრა კლასტერული აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში დაგროვილი წარმატებული პრაქტიკები და ძირითადი გამოწვევები და პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის გამოწვევების საპასუხო აქტივობები.

მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა

განხორციელდა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა ცენტრის მიერ გაცემული სერვისების 5 მიმართულებით. კვლევაში მონაწილე სერვისების იდენტიფიცირება სერვისების მიმწოდებელ სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციით განხორციელდა. შესაბამისად, ცენტრის მიერ განისაზღვრა კვლევის სამიზნე შემდეგი სერვისები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებული პროგრამების გეგმური მონიტორინგის სერვისი; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის სერვისი; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სერვისი; ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პირველი სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით ჩატარებული ტრენინგები; უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების სერვისი. მეთოდოლოგიის შესაბამისად შეგროვდა მონაცემები, გაანალიზდა და მომზადდა კვლევის ანგარიშის დოკუმენტები. კვლევის შედეგები ცენტრის შესაბამის სამსახურებთან და ცენტრის დირექტორთან გაიგზავნა.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფა

2024 წელს, ცენტრმა მუშაობა გააგრძელა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებაზე. კერძოდ, პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით, განახლდა და დამტკიცდა ბიზნესპროცესების ნუსხა. პასუხისმგებელ სამსახურებთან ერთად, ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მიზანშეწონილია ზოგიერთი ბიზნესპროცესის ნუსხიდან ამოღება და ზოგიერთი ბიზნესპროცესის გაერთიანება. ამჟამად ცენტრს 60 დამტკიცებული ბიზნესპროცესი გააჩნია. ასევე, წინასწარ გაწერილი გეგმის შესაბამისად აღიწერა პროცესები, ჯამში - 42 ბიზნესპროცესი. 2024 წელს, მათი აღწერა განახლებული მიდგომებით მიმდინარეობდა. ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნების მიზნით აღწერილი ბიზნესპროცესები განთავსებულია ბიზნესპროცესების რეესტრის პორტალზე (SharePoint). დარჩენილი 18 პროცესის აღწერა დაგეგმილია 2025 წლისათვის.

ადამიანური რესურსების მართვა

2024 წელს, ცენტრში დაინერგა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც 2023 წელს საპილოტე რეჟიმში მოქმედებდა. თანამშრომელთა შეფასება შეფასების შერეული მეთოდით ხორციელდება, რაც მიზნების/ფუნქციების და კომპეტენციების შეფასების მეთოდს გულისხმობს. შეფასების წესის თანახმად, შეფასების სისტემაში ჩართულია შეფასებას დაქვემდებარებული ცენტრის თანამშრომლების 100%.

განხორციელდა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი, რომელმაც ინტერვიუს სწორად წარმართვისა და პოზიტიური უკუკავშირის მიზნით პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერების აუცილებლობა გამოკვეთა. გუნდში საქმიანი და პოზიტიური კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი საქმიანი კომუნიკაცია და პოზიტიური უკუკავშირი.

2024 წელს შეიქმნა და დაინერგა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის ცენტრში ინტეგრგრირებას, მენტორინგს, ასევე, ცენტრის თანამშრომლის ადაპტაციას ცენტრის შიდა მობილობის შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ადაპტაციას, თანამშრომლის ადაპტაციას მენეჯერულ პოზიციაზე და ე. წ. წასვლის წინა ინტერვიუს თანამშრომელთან, რომელიც ცენტრს ტოვებს.

ავტორიზაციისა და საგანმანათლებელო პროგრამული აკრედიტაციის საბჭოების განახლება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება

2024 წელს, განახლდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო.

2024 წლის 18 მარტს, უფლებამოსილების ვადა ამოეწურა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოს, რის შემდეგაც 2024 წლის 9 ივლისს საქართველოს პრემიერმინისტრის მიერ დამტკიცდა ცენტრის სააპელაციო საბჭო. ახალ საბჭოს შესთავაზეს შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა მოამზადეს ტრენინგმოდულები და საბჭოს წევრებს შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებები შესთავაზეს. აღნიშნული შეხვედრები ხელს უწყობს ცენტრისა და საბჭოების თანამშრომლობის კულტურის განვითარებას, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში უზრუნველყოფილია დაგვროვილი გამოცდილების, შეთავაზებული სიახლეებისა და შეფასების/გადაწყვეტილების პროცესების თავისებურებების გაზიარება.

ფინანსური რესურსების მართვა

ფინანსური უზრუნველყოფის მართვის მიმართულებით, მომზადდა ცენტრის 2024 წლის ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს მთავრობასთან შესათანხმებელი ცენტრის ბიუჯეტი და საშტატო ნუსხა, 3, 6, 9 თვის და 2024 წლის 12 თვის ბიუჯეტის შესრულებისა და საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმების ანგარიშები.



გრაფიკი №1: ფინანსური მაჩვენებლების ტენდენცია 2022-2024 წლებში

2022-2024 წლებში, ცენტრის ბიუჯეტში საკუთარი სახსრების წილი სტაბილურად დაახლოებით 63%-დან 69%-ის ჩათვლით მერყეობს (იხილეთ გრაფიკი №1), რაც ცენტრის მიერ გაცემული/შეთავაზებული სერვისების შედეგად მიღებული საკუთარი შემოსავლების სტაბილურობაზე და მდგრადობაზე მიუთითებს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრმა შეიმუშავა სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესის დარუქების დოკუმენტი. დოკუმენტი მოიცავს ჩარჩოს, რომელიც შედგება ცენტრის სამოქმედო გეგმის დაგეგმვის, ბიუჯეტირების შემუშავებისა და შესყიდვების შემუშავების ციკლისგან, რომელშიც ასახულია აღნიშნული მიმართულებით არსებული მდგომარეობა. აღნიშნული დოკუმენტი ემსახურება ცენტრის სამოქმედო გეგმის დაგეგმვის პროცესში დაგეგმვის, ბიუჯეტირებისა და შესყიდვების შესაბამისობის დადგენას და პროცესის გამართულ განხორციელებას. აქტივობის განხორციელება ემსახურება

დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესის ჰარმონიზაციას, ასევე, ცენტრის ბიუჯეტის დაგეგმვის დეცენტრალიზაციას და პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებას ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მიერ. ბიუჯეტის პროექტების დოკუმენტი შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან: შრომის ანაზღაურება, შესყიდვები, მივლინებები, საწევრო გადასახადი, შემოსავლები და კონსოლიდირებული ხარჯები.

საქმისწარმოება

საქმისწარმოების მიმართულებით, 2024 წლის ცენტრის მთლიანი დოკუმენტბრუნვა, წინა წლებთან შედარებით 30%-ით გაიზარდა.
შემუშავდა და დამტკიცდა საქმისწარმოების ახალი წესი და ცენტრის ოფიციალური ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირების სტანდარტი. შემუშავდა ელექტრონული დოკუმენრბუნვის სისტემის (e-Flow) გზამკვლევი.
გადაიხედა და დამტკიცდა დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ორგანიზების კომისიის ახალი დებულება.

მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა

ცენტრის სამუშაო და სარეკრეაციო სივრცეებში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს და ცენტრის არსებული შენობის სპეციფიკას, შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობას. ნაწილობრივ განახლდა ცენტრის არსებული კომპიუტერული სისტემები.
გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის 140 ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 1,035,222.70 ლარი შეადგინა. მათ შორის: ცენტრის 2024 წლის საკუთარი შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის 64 ხელშეკრულება - საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 418,753.96 ლარი. ცენტრის 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის 45 ხელშეკრულება - საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 418,318.17 ლარი. პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში გაფორმდა 11 ხელშეკრულება საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით - 56,608.26 ლარი. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში გაფორმდა 5 ხელშეკრულება საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 30,805 ლარი. ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში გაფორმდა 6 ხელშეკრულება (მათ შორის 2 ხელშეკრულება გაფორმდა ელექტრონული ტენდერის ფარგლებში) საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 71,727 ლარი. „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში" (VET ფაზა 3) გრანტის ფარგლებში გაფორმდა 9 ხელშეკრულება საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 47,010.31 ლარი. 2024 წლის განმავლობაში გამოცხადდა 10 ელექტრონული ტენდერი.

შიდა აუდიტი

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, შიდა აუდიტის სამსახურმა 2023 წლის

დეკემბერში ორგანიზაციის წინაშე არსებული ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით, შეაფასა ორგანიზაციის/მიმდინარე პროცესების ძირითადი რისკები, შედეგად დაამტკიცდა 2024-2026 წლის სტრატეგიული გეგმა და 2024 წლის წლიური გეგმა, რომლის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურმა დაასრულა ორი სისტემური აუდიტორული შემოწმება და ჩაატარა აუდიტორული შემოწმებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

განხორციელდა ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის გარე შეფასება, რომელიც ჩატარდა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ.

შემუშავდა რისკების შეფასებისა და ანალიზის მეთოდოლოგია. ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით შემუშავდა 2024 წლის რისკების შეფასების სამოქმედო გეგმა, რისკის შეფასებისა და ანალიზის თაობაზე, ასევე, რისკის რეესტრის შევსების ტექნიკის თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, ყველა სტრუქტურულ ერთეულებთან ჩატარდა ტრენინგები. ცენტრის სამმა სამსახურმა, განახორციელა, რისკების შეფასების 2024 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით 3 ბიზნესპროცესის რისკების შეფასება.

ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

2024 წლის 5-7 მარტს ცენტრმა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია გამართა, რომელზეც განხილულ იქნა უმაღლესი, პროფესიული, ზოგადი და ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განათლების მნიშვნელოვანი საკითხები - მიღწევები და გამოწვევები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, უმაღლესი, პროფესიული, ზოგადი და ადრეული და სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA), ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრის (EQAR), სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME), ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA), ევროპის სტუდენტთა ასოციაციის (ESU) წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს, უმაღლესი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრებმა, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებმა, სტუდენტებმა, დამსაქმებლებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა.

სტრატეგიული კომუნიკაციები

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა 2024 წლის მედიასთან ურთიერთობის გეგმა, რომელშიც ცენტრის მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიწერა. 2024 წლის განმავლობაში ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა მედიის სხვადასხვა საშუალებებთან. ცენტრის თანამშრომლები მიწვეულები იყვნენ სხვადასხვა თემატურ გადაცემებში. ასევე, გავრცელდა ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზადებული სტატიები და ნიუსები ცენტრის საქმიანობის, მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

ცენტრმა, 2024 წლის 29 მარტს გამოსცა რიგით მეოთხე ელექტრონული ჟურნალი- „განათლების ხარისხის დაიჯესტი“, რომელიც ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ცენტრის სოციალურ ქსელში განთავსდა. ელექტრონულ ჟურნალში წარმოდგენილია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან დაკავშირებული სტატიები, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მოკლე ანალიზი და ყველა დაინტერესებული მხარისთვის საინტერესო სხვადასხვა ინფორმაცია.
საზოგადოებასთან ანგარიშვადებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, 2024 წლის განმავლობაში ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში მუდმივად ქვეყნდებოდა განათლების სისტემის მნიშვნელოვანი სიახლეების, აქტივობების, ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ ინფორმაცია.

შრომის უსაფრთხოება

2024 წელს შეიქმნა და დამტკიცდა ,,სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის მიზანია სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა და მესამე პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშესაწყობად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა. ცენტრი უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სისტემის მოწყობის საქმიანობის სხვა მიზნებთან გათანაბრებასა და თავსებადობას.

თავი II - საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო პარტნიორობით ცენტრი იზიარებს განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განათლების აღიარების სხვადასხვა სააგენტოებისა და ცენტრების საუკეთესო გამოცდილებას და ნერგავს საუკეთესო პრაქტიკებს, რომლებიც სააგენტოების მიერაა გამოცდილი. გარდა ამისა, ცენტრს აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით ისარგებლოს ჩარჩო დოკუმენტებითა და რესურსებით, რაც ხელს უწყობს ჩვენი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. საერთო ჯამში, ცენტრის მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებში აძლიერებს საქართველოს განათლების ხარისხს, ზრდის ცენტრის ცნობადობას და მის რეპუტაციას საერთაშორისო მასშტაბით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაცია - ENQA-ში სრული წევრობისა და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში - EQAR რეგისტრაციის განახლება

2023 წლის თებერვლიდან, ცენტრში მიმდინარეობდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციაში - ENQA გაწევრიანებისა და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში - EQAR რეგისტრაციის განახლების პროცედურები, წინასწარ შემუშავებული ვადებისა და გაწერილი

პროცედურების შესაბამისად. 2023 წელს, ცენტრმა ENQA-ში წარადგინა თვითშეფასების დოკუმენტი, რომელიც დაინტერესებული მხარეებისა და ცენტრის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლების ჩართულობით მომზადდა. 2023 წლის ოქტომბრის თვეში ცენტრმა ENQA-ს ექსპერტებს უმასპინძლა, რომლებმაც არაერთ ინტერვიუსა და წარდგენილი დოკუმენტებზე დაყრდნობით მოამზადეს ცენტრის შეფასების დოკუმენტი, ESG სტანდარტების შესაბამისად და 2024 წლის 26 მარტს წარმოადგინეს. გარე შეფასების თანახმად, ცენტრი შეესაბამება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების 11 სტანდარტს, 5 სტანდარტთან მიმართებით, კერძოდ: ESG 3.1; ESG 3.3; ESG 3.4; ESG 3.5 და ESG 2.2 ავლენს საუკეთესო პრაქტიკას და ნაწილობრივ შესაბამისობა ორ სტანდარტთან - 2.5 და 3.3 მიმართებით.

გარე შეფასების თანახმად, ექსპერტთა პანელმა დაადასტურა ცენტრის შესაბამისობა 11 სტანდარტში. EQAR-ის სარეგისტრაციო კომიტეტმა ნაწილობრივი შესაბამისობა დაადგინა ერთ სტანდარტთან (2.5 - შედეგების კრიტერიუმები) და გამოავლინა შეუსაბამობა მხოლოდ ერთ სტანდარტთან (3.3 - დამოუკიდებლობა).

ასევე, დამატებით, ENQA-ს შეფასების კომიტეტისგან 2024 წლის 2 აპრილს ცენტრმა მიიღო შეფასების ანგარიშის ვალიდაციის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კომიტეტი მიუღებლად მიიჩნევდა ცენტრის დირექტორის დანიშვნას აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მინისტრის მოადგილის პოზიციაზე, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა პანელს განმარტებული ჰქონდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი შეფასების დოკუმენტში. საგულისხმოა, რომ ENQA-ს ექსპერტთა პანელის ვიზიტის დროს ცენტრმა განმარტა, რომ დირექტორის აღმასრულებელ ხელისუფლებაში დანიშვნის გადაწყვეტილება გამოწვეული იყო ქვეყანაში მიმდინარე ზოგადი განათლებისა და ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმებით და აღნიშნული წარმოადგენდა დროებით ღონისძიებას.

პროცედურის შესაბამისად, ENQA-ს ექსპერტთა პანელის დასკვნა, ვალიდაციის დოკუმენტი, დეკლარაციის ფორმა და თვითშეფასების დოკუმენტი ცენტრმა რეგისტრაციის განახლების მიზნით EQAR-ში გაგზავნა. 2024 წლის ივლისში, ცენტრმა EQAR-იდან მიიღო წერილი, რომლის მიხედვითაც მოითხოვეს ცენტრის მხრიდან დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა (Additional representation). მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისად ცენტრმა მოამზადა დამატებითი წარდგინება, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ის ცვლილებები, რომლებიც ცენტრში განხორციელდა, განათლების ხარისხის კანონისა და ცენტრის დებულებაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად[1], მათ შორის კიდევ ერთხელ განიმარტა ცენტრის დირექტორის პოლიტიკური თანამდებობის დაკავების გამო პოზიციის დატოვები შესახებ ინფორმაცია.

2024 წლის ოქტომბერში, EQAR-ის რეგისტრაციის კომიტეტმა დამატებით მოითხოვა დოკუმენტები. ასევე, მოთხოვნაში ინტეგრირებული იყო EQAR - ში წარდგენილ ანონიმურ საჩივრის თაობაზე ინფორმაცია. ცენტრმა, მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია და მტკიცებულებები, მოთხოვნის შესაბამისად წარადგინა. 2024 წლის 11 დეკემბერს, ცენტრმა მიიღო წერილი რეგისტრაციის კომიტეტისგან, რომლის მიხედვითაც ცენტრს შეუჩერდა რეგისტრაცია EQAR-ში.

ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით და მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ცენტრმა EQAR-ისგან მოითხოვა ფოკუსირებული შეფასება შესაბამის სტანდარტებზე. პროცესი 2025 წელს დაიწყება და პროცედურის შესაბამისად გაგრძელდება არაუგვიანეს 18 თვისა.

---

[1] *ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია „სამართალშემოქმედების“ ქვეთავში.*

ამასთან, ცენტრი აქტიურად მუშაობს ENQA-თან სრული წევრობის სტატუსის განახლებაზე, სადაც საწყის ეტაპზე ENQA-ში წარადგინა სამოტივაციო წერილი ENQA-ს სრული წევრობის განახლების მიზნით. პროცესი მიმდინარეა და 2025 წელს დასრულდება.

გლობალური კონვენცია

2024 წელს, საქართველო იუნესკოს გენერალური კონფერენციის მე-40 სესიაზე მიღებულ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების გლობალურ კონვენციას მიუერთდა. იგი ფარავს მთელ მსოფლიოს და ავალდებულებს მხარეებს აღიარონ უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციები, მათ შორის არაფორმალური განათლება, თუ მისი ხარისხის უზრუნველყოფა კრიტერიუმებს შეესაბამება. კონვენციის მთავარი მიზანია სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერება, ასევე, ლტოლვილთა კვალიფიკაციის აღიარება, საჭირო დოკუმენტაციის არქონის შემთხვევაშიც კი. კონვენცია განიხილება, როგორც "ქუდი", რომელიც აერთიანებს ყველა რეგიონალურ შეთანხმებას და მომავალში ENIC-NARIC-ის მსგავსი საერთაშორისო ქსელის შექმნასაც ითვალისწინებს. ამჟამად, კონვენცია რატიფიცირებულია 36 ქვეყნის მიერ. საქართველოსთვის მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია, რადგან ქვეყანაში უმაღლესი განათლების მისაღებად ხშირად არაევროპული ქვეყნებიდან ჩამოდიან სტუდენტები, ხოლო საქართველოში გაცემული დიპლომების აღიარების საჭიროება სწორედ ამ ქვეყნებში დგება.

ბოლონიის სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და საერთაშორისო ვიზიტები

2024 წელს, ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა ბოლონიის პროცესის სხვადასხვა თემატურ სამუშაო ჯგუფებში, მათ შორის, კვალიფიკაციების ჩარჩოს სამუშაო ჯგუფში, სწავლა-სწავლების სამუშაო ჯგუფში, ლისაბონის აღიარების კონვენციის სამუშაო ჯგუფში.

2024 წლის 18-19 აპრილს ქ. ტალინში ჩატარდა ბოლონიის პროცესის კვალიფიკაციების ჩარჩოს ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (TPG A on QF) შეხვედრა, რომელშიც ცენტრის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრებზე განხილულ იქნა შემდეგი თემები: გამოცდილების გაზიარებას (PLA) უმაღლესი განათლების პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის და სწავლის შედეგებში მომავალი უნარების (Future Skills) გათვალისწინების მდგრადი მექანიზმები; სწავლა-სწავლების მიდგომების ადაპტაციის მნიშვნელობა სწრაფად ცვალებად დასაქმების გარემოსთან; პროგრამების რელევანტურობის უზრუნველყოფას ახალი უნარების ანტისიპაციის და პროგრამებში ინტეგრაციის გზით.

სწავლა-სწავლების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, 2024 წლის 15 თებერვალს ჩატარდა სწავლა-სწავლების სამუშაო ჯგუფის (WG on L&T) ონლაინშეხვედრა, , რომლის ფარგლებში სამუშაო ჯგუფს დაევალა საბოლოო ანგარიშის დასრულება და შემდგომი ნაბიჯების განხილვა.

2024 წლის 23-24 აპრილს, ქალაქ რომში გაიმართა ბოლონიის იმპლემენტაციის კოორდინაციის B ჯგუფის შეხვედრა, განსახილველი საკითხები იყო: აღიარების შესახებ მოქმედ 5 რეგიონალურ კონვენციას შორის (აფრიკა, აზია-წყნარი ოკეანე, ევროპა, ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი, არაბული ქვეყნები) კავშირების, მსგავსებების და განსხვავებების იდენტიფიცირება; ძირითადი მიმართულებით კონვენციების იმპლემენტაციის ფარგლებში გამოცდილების, პრაქტიკის და ახალი მიღწევების გაზიარება; საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობა LRC-ის იმპლემენტაციისათვის; ალტერნატიული გზების აღიარება - ირლანდიური მიდგომა მიკროკრედიტების/სერთიფიკატების მიმართ; ავტომატური აღიარების მიღწევა - ავტომატური აღიარება ეროვნულ დონეზე და

არაფორმალური გამოცდილება. ავტომატური აღიარების მიღწევა EHEA-ში: I-AR პროექტი; პასუხისმგებლობების და ფუნქციების განაწილება კომპეტენტურ ორგანოებს შორის, რომლებიც ახორციელებენ აღიარების პროცედურებს; ლტოლვილთა კვალიფიკაცია.
ამასთან, 18 სექტემბერს ქ. რიგაში გაიმართა TPG A on QF პროექტის „კვალიფიკაციების ჩარჩო ნდობის, გამჭვირვალობისა და მრავალფეროვნებისთვის - TPG A (QUATRA)" სიმპოზიუმი, TPG A on QF ჯგუფის მერვე სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ცენტრის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები QUATRA პროექტის ფარგლებში (PLAs) შედეგები და საქართველოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების განვითარების თემაზე.
აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან ახლდება ბოლონიის თემატური სამუშაო ჯგუფები და ცენტრი, კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება შემდეგ სამუშაო ჯგუფებში: კვალიფიკაციების ჩარჩოს თემატური სამუშაო ჯგუფი A (TPG A QF) - სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე, თემატური სამუშაო ჯგუფი B - ლისაბონის აღიარების კონვენციის შესახებ (TPG B LRC), თემატური სამუშაო ჯგუფი C - ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ (TPG C QA), თემატური სამუშაო ჯგუფი D - სოციალური განზომილება (TPG D on SD) და ინტერნაციონალიზაცია და მობილობის სამუშაო ჯგუფი.
2024 წლის 7 მარტს, საფრანგეთში, ქალაქ პარიზში, იუნესკოს ოფისში გაიმართა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების შესახებ 2019 წლის გლობალური კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სამთავრობათაშორისო კონფერენციის პირველი რიგგარეშე სესია, რომელშიც ცენტრმა მიიღო მონაწილეობა. სესიის მიზანი იყო უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარების გლობალური კონვენციის შუალედური სამუშაო პროგრამის მიღება (2024-2025 წლები).
2024 წელს, ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოთა ევროპული ქსელის (ENQA) 2024 წლის ყოველწლიურ ფორუმში. 2024 წლის ფორუმზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: განათლების ტრანსნაციონალური განზომილება, აკრედიტაციის შემდგომი შეფასებები და საჩივრების განხილვის სპეციფიკა, ბოლონიის სისტემის დახვეწა ტირანას მინისტერიალის მოლოდინში, ხელოვნური ინტელექტის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართვის მასშტაბი და შესაძლებლობები. ცენტრის წარმომდგენელმა წარადგინა მოხსენება გარე ხარისხის უზრუნველყოფის გავლენის კვლევასთან დაკავშირებით, ქართულ კონტექსტში დამკვიდრებული მიდგომების შესახებ.
2024 წლის 28-31 მაისის პერიოდში, ცენტრის წარმომადგენელი ალბანეთის ქალაქ ტირანაში, ესწრებოდა უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის (EHEA) მინისტერიალს. ტირანას მინისტერიალის ფოკუსში მოექცა შემდეგი საკითხები: განათლების ტრანსნაციონალური განზომილება, აკადემიური კეთილსინდისიერება და ინსტიტუციური ავტონომია, უმაღლესი განათლების საჯარო პასუხისმგებლობა, ბოლონიის სისტემის დახვეწა ტირანას მინისტერიალის შემდეგ, ხელოვნური ინტელექტის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართვის მასშტაბი და შესაძლებლობები. მინისტერიალზე მიიღეს ტირანას კომუნიკე, რომელიც აზიარებს ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის ფუნდამენტურ ღირებულებებს და უმაღლესი განათლების სისტემის "2030 ხედვის" ნაბიჯებს. მინისტერიალზე გაზიარდა უმაღლესი განათლების სივრცის ღირებულებები, რომლის კონცეფცია დანართის სახით დაერთო ტირანას კომუნიკეს. აკადემიური თავისუფლება, აკადემიური მთლიანობა, ინსტიტუციური ავტონომია, სტუდენტი და პერსონალის მონაწილეობა უმაღლესი განათლების მმართველობაში, საჯარო პასუხისმგებლობა უმაღლეს

განათლებაზე და საზოგადოება უმაღლესი განათლების პასუხისმგებლობა - ეს ღირებულებები საჯარო ხელისუფლებებმა უნდა აისახოს კანონებში, რეგულაციებსა და ჩარჩოებში და ასევე პრაქტიკაში.

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის ყოველწლიურ ფორუმში (EQAF), რომელიც უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA), ევროპის სტუდენტთა ასოციაციის (ESU), ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციისა (EUA) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაციის თანაორგანიზებით ((EURASHE) (E4 ჯგუფი) ტვენტეს უნივერსიტეტში, ნიდერლანდებში ჩატარდა. უმაღლესი განათლების პოლიტიკის შესახებ სხვადასხვა თემატიკის სესიები გაიმართა. მონაწილეებმა იმსჯელეს უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ ტენდენციებზე, ახალ ინოვაციურ მიდგომებსა და ინსტრუმენტებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის ჰოლისტურ მიდგომას, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მიმდინარე მოვლენებზე, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG -2015) სამომავლო გადახედვის პერსპექტივებზე. ასევე, ფორუმზე გაიმართა დისკუსია სწავლა-სწავლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მესამე მისიის კავშირზე, თუ როგორ შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფას დააკმაყოფილოს სამივე მისიის ურთიერთდაკავშირებისას წარმოშობილი საჭიროებები და გამოწვევები და როგორ შეუწყოს ხელი თანამშრომლობას უნივერსიტეტების სამივე მისიის ფარგლებში უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სამუშაო შეხვედრებზე, მომხსენებლებმა გააზიარეს პრაქტიკული მაგალითები. EQAF-ზე მომხსენებლის სტატუსით ცენტრის წარმომადგენელი წარდგა, რომელმაც ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების როლზე უმაღლესი განათლების სისტემაში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების რეგულირებასთან მიმართებით ისაუბრა. მოხსენებაში განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდა გენერაციული ხელოვნური ინტელექტის შესახებ, აღინიშნა, რომ მის გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესის გაძლიერების პოტენციალი აქვს, თუმცა, მისი დაურეგულირებელი გამოყენება იწვევს ეთიკურ და სხვა სახის რისკებს. ხელოვნური ინტელექტის რეგულირება ორიენტირებული უნდა იყოს სამართლიანი მიდგომების უზრუნველყოფაზე, სტუდენტების კონფიდენციალობის დაცვაზე, გამჭვირვალობისა და ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობით გამოყენების ხელშეწყობაზე.

2024 წლის 21-22 ოქტომბერს, ყაზახეთში, ქალაქ ასტანაში გაიმართა მე-13 საერთაშორისო ფორუმი ელექტრონული აპოსტილის პროგრამაზე (e-APP), რომელშიც ცენტრმა მონაწილოება მიიღო ყაზახეთში, ქალაქ ასტანაში აპოსტილის პროგრამის მე-13 საერთაშორისო ფორუმში (e-APP). ფორუმი ერთობლივად იყო ორგანიზებული „ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის“ (HCCH), ყაზახეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსა და მაქსუტ ნარიკ ბაევის უნივერსიტეტის მიერ.

2024 წლის 10-12 დეკემბერს, ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ბელგიის სამეფოში, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ ორგანიზებულ სემინარში სახელწოდებით - SEMINAR ON THE EUROPEAN DIMENSION OF QUALITY ASSURANCE. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ ENQA-ს წევრი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების წარმომადგენლები. სემინარის ფარგლებში განხილულ იქნა ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებისა და მექანიზმების განვითარების პერსპექტივები.

2024 წლის 20-21 ნოემბერს, ნიდერლანდების სამეფოს ქალაქ მაასტრიხტში გაიმართა ტრენინგი, რომლის ორგანიზატორი იყო საჯარო ადმინისტრირების ევროპული ინსტიტუტი (EIPA). ტრენინგში ცენტრის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა, ღონისძიებას ასევე ესწრებოდა 13 ევროპული ქვეყნის წარმომადგენელი. ტრენინგზე ძირითადი ყურადღება დაეთმო შეფასების საერთო ჩარჩოს (CAF) იმპლემენტაციის მექანიზმებს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით. CAF წარმოადგენს ინსტრუმენტს ნდობისა და უკეთესი კავშირის შესაქმნელად ორგანიზაციაში მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის. როგორც შეფასების საერთო ჩარჩოს (CAF) გამოცდილმა პრაქტიკოსებმა, ასევე მათ, ვისაც განვითარებული აქვს ხარისხის მართვის მექანიზმები, გააზიარეს საუკეთესო პრაქტიკები CAF-თან დაკავშირებით და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის შესახებ. ცენტრი 2023 წლიდან იყენებს CAF-ის მეთოდოლოგიას შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის და აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა ცენტრს დაეხმარება 2025 წელს დაგეგმილი CAF მეთოდოლოგიით კვლევის ჩატარებაში.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების შემდგომ საქართველოს მიენიჭა ევროპული განათლების სივრცის (European Education Area - EEA) სტრატეგიული ჩარჩოს შვიდ სამუშაო ჯგუფში ჩართვის შესაძლებლობა. 2024 წლის იანვარში, უწყებების შესაბამისად განისაზღვრა ჯგუფებში მონაწილე პირები,. მათ შორის ცენტრი, თავის კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილია, ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, ციფრული განათლებისა და თანასწორობისა და ღირებულელების სამუშაო ჯგუფებში. საანგარიშო პერიოდში ცენტრი მონაწილეობას იღებდა სამუშაო შეხვედრებში. კერძოდ, თანასწორობისა და ღირებულელების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის რამდენიმე ონლაინსესია და ერთი შეხვედრა ბელგიაში, ქალაქ, ბრიუსელში, რომლის ფარგლებში განიხი განათლების სისტემაში თანასწორობისა და ღირებულებების ჭრილში ბულინგის, მათ შორის სკოლებში კიბერბულინგის საკითხები. მონაწილე ქვეყნებმა გაზიარეს საკუთარი პრაქტიკები. ამასთან, აღნიშნულ თემაზე მომუშავე ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებულმა სხვადასხვა ორგანიზაციებმა წარადგინეს პრაქტიკები და გამოცდილებები, მათი, როგორც დაინტერესებული მხარეების პერსპექტივიდან, მონაწილეებს შესთავაზეს სხვადასხვა ინსტრუმენტები. ჩატარდა ერთობლივი სესია ევროკომისიის ერთ-ერთ სამუშაო ჯგუფთან - WG Scools, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა იმსჯელეს სასკოლო გარემოში ინკლუზიურობასა და სპეციალურ საჭიროებებზე. . ამასთან, ადრეული აღზრდისა და განათლების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა (PLA) ლუქსემბურგში, ქალაქ ლუქსემბურგში, რომელზეც განხილული იქნება თემა: "როგორ შეუძლიათ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ლიდერებს შეარჩიონ და მართონ განსხვავებული გუნდები და იმუშაონ განსხვავებულ ოჯახებთან". სამუშაო ჯგუფის მიზანია მონაწილე ქვეყნების პრაქტიკისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები.

პროფესიული განათლების მიმართულებით, ცენტრის წარმომადგენლება მონაწილეობა მიიღეს იტალიის რესპუბლიკაში, ქალაქ ტურინში, განათლების ევროპული ფონდის (ETF) ორგანიზებით გამართულ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ყოველწლიურ ფორუმში. საუკეთესო პრაქტიკის ნაწილში, საქართველოს მხრიდან ფორუმზე გაზიარდა ქვეყნის გამოცდილება EQAVET ინდიკატორების დანერგვასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებათა შორის თანამშრომლობითი ვიზიტების დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით, რაც მიმართულია ხარისხზე ორიენტირებული კულტურის განვითარებაზე. განათლების ევროპული ფონდის

(ETF) - ის მხრიდან საქართველოს პრაქტიკა ორივე მიმართულებით დადებითად შეფასდა და სამაგალითო ნიმუშად იქცა სხვა ქვეყნებისათვის.
ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სომხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ერევანში, განათლების ევროპული ფონდის (ETF) ორგანიზებით დაგეგმილ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფორუმში. ფონდის მიერ ცენტრი მიწვეული იყო სომხეთის რესპუბლიკის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გარე შემფასებლად. საქართველოს მხრიდან, შეთავაზებულია რეკომენდაციები პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებისათვის, როგორებიცაა გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მტკიცებულებათა გამოყენება, ასევე EQAVET ინდიკატორების ინტეგრირება ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოში. შეხვედრას 10-მდე ქვეყნის სხვა წარმომადგენელი ესწრებოდა. შესაბამისად, ღონისძიებაში შემფასებლის სტატუსით მონაწილეობამ გაზარდა ცენტრის პროფესიული განათლების სისტემის დადებითი იმიჯი.
არაფორმალური განათლების აღიარების მიმართულებიით, ცენტრის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ლიონში, ევროპის განათლების ფონდის (ETF) ღონისძიებაზე - “Advancing validation of non-formal and informal learning – networking and peer learning event". ღონისძიება დაეთმო არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების, სისტემურ დონეზე სამართლებრივი საფუძვლების, პროცედურების და ინსტრუმენტების გაზიარებას.
ცენტრმა ასევე მონაწილეობა მიიღო ქ. ბრიუსელში (ბელგია) ჩატარებულ ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მრჩეველთა ჯგუფის 65-ე შეხვედრაში. შეხვედრაზე ევროპის კომისიის, ევროპის საბჭოს, პროფესიული განათლების განვითარების ევროპული ცენტრისა (Cedefop) და ევროპის განათლების ფონდის (ETF) წარმომადგენლებმა გააკეთეს პრეზენტაციები კვალიფიკაციების განვითარების კუთხით ძირითადი პრიორიტეტებისა და დაგეგმილი პროექტების შესახებ.
2024 წელს, ცენტრის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონული ინსპექტორიატების ასოციაციის (SICI) მიერ ორგანიზებულ სემინარში კვიპროსში, სადაც განიხილეს ზოგადი განათლების მიმართულებით შემდეგი საკითხები: ინსპექტირების მეთოდების შეცვლა, სკოლის სასწავლო გარემოს შეფასება, სკოლების ხანგრძლივი და სისტემატური მომზადება ინსპექტირებისთვის, COVID-19-ის გავლენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მოსწავლეებზე. ასევე, ცენტრის წარმომადგენელი მონაწილეობდა - ევროპის განათლების ეროვნული და რეგიონული ინსპექტორიატების ასოციაციის (SICI) მიერ ორგანიზებულ სემინარში ესტონეთში, სადაც განიხილეს მსოფლიოში ზოგადი განათლების ძირითადი ტენდენციები, ინსპექტირება და სკოლის ავტონომია, ძირითადი გამოწვევები.
ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელის (CEENQA) მიერ წევრი სააგენტოებისთვის გამოცხადებული 2024 წლის თანამშრომელთა მობილობის/გაცვლის სქემის ფარგლებში დაფინანსდა ცენტრის ინიციატივა და ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოში განათლების მიმართულებით (HAKA) მობილობის სქემაში მონაწილეობას იღებდა ცენტრის თანამშრომელი, რომელიც გაეცნო HAKA-ს პრაქტიკას თემატური ანალიზის თაობაზე. შეხვედრებზე განიხილულ იქნა ანალიზის სტანდარტი ESG-2015)-ში, ასევე, HAKA-ს განვითარების გეგმის (2023-2027) ამოცანები, რომელთა ინდიკატორებადაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადი დადებითი და აღმავალი ტენდენციის მქონე უკუკავშირი HAKA-ს საქმიანობაზე.

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო „ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ქსელის “(ENIC-NARIC Network) წარმომადგენლების ყოველწლიურ, რიგით 31-ე შეხვედრაში, ნეაპოლში, იტალიაში. ცენტრის წარმომდგენელი მოხსენებით წარსდგა „ევროპის საბჭოს მიერ ENIC-ების შესაძლებლობების გაძლიერების“ სესიის ფარგლებში და ისაუბრა ცენტრის მიერ 2023 წელს განხორციელებული პროექტის - „ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა“ შედეგების, ძირითადი მიღწევებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე, დეტალურად გაზიარებულია ცენტრის პრაქტიკა აღნიშნულ საგრანტო პროექტში მონაწილეობის თაობაზე. ცენტრმა პროექტის გრანტი ევროპის საბჭოს მიერ გამოცხადებული მცირე საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოიპოვა. შეხვედრას ესწრებოდნენ ქსელის წევრი ქვეყნების წარმომდგენლები, ENIC-ის ბიუროს და NARIC-ის მრჩეველთა საბჭოს, ევროკომისიის, ევროპის საბჭოს, იუნესკოს წარმომადგენლობა. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა პლენარული სხდომა და სხვადასხვა თემატიკის სამუშაო სესიები.

ცენტრის წარმომადგენელი მონაწილეობდა ლატვიის ENIC-NARIC ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში. გაიმართა ლატვიის ცენტრის მიერ განხორციელებული, OCTRA 2 project “Online course catalogues and databases for transparency and recognition 2” პროექტის ფინალური კონფერენცია. პროექტი განხორციელდა Erasmus+ NARIC project -ის დაფინანსების ფარგლებში, ლატვიის, ბოსნია და ჰერცოგოვინის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ირლანდიის და სომხეთის ENIC-NARIC ცენტრების ჩართულობით. პროექტის პარტნიორ ქვეყნებში უმაღლესი განათლების გარემოს უფრო ფართო მიმოხილვის მიზნით, შეგროვდა ექვსი ქვეყნის ანგარიში.

ცენტრის წარმომდგენელმა მონაწილეობა მიიღო იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მიერ ორგანიზაებულ ინტენსიურ სასწავლო კურსში, რომელიც ეხებოდა ადრეული განათლების განვითარებას. კურსის ძირითადი მიზანი იყო ადრეულ განათლებასთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარება, ამასთან, თეორიული ცოდნის მიღება და პრაქტიკული გამოცდილება იაპონიის განათლების სისტემის შესახებ. სასწავლო ვიზიტი მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზის და პრაქტიკის ადგილზე გაცნობას. სასწავლო კურსის დასასრულს მონაწილეების მიერ მომზადდა განსახორციელებელი აქტივობების გეგმა.

2024 წლის 23-25 ოქტომბერს, საფრანგეთის რესპუბლიკაში, ქალაქ სტრასბურგში, ცენტრის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ მეორე სამუშაო კონფერენციაზე „ხელოვნური ინტელექტის გამოყენების რეგულირება განათლების სფეროში". სამუშაო კონფერენციაზე განხილულ იქნა განათლების სისტემაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დადებითი ასპექტები და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების პრევენციის შესაძლო მექანიზმები.

გაფორმებული მემორანდუმები

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, ცენტრმა და დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტომ (QAA) გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი ადგენს თანამშრომლობის რამდენიმე ძირითად მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს ორივე სააგენტოს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული მიდგომების უკეთ გააზრებას.

ცენტრსა და გერმანიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (AQAS) და ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს შორის განახლდა მემორანდუმები. აღნიშნულ სააგენტოებთან ცენტრს ხანგრძლივი პარტნიორობა აკავშირებს. სააგენტოები თანამშრომლობენ ზოგადი და პროფესიული განათლების ხარისხის მიმართულებებზე, ასევე, თემატური ანალიზის მიმართულებით და უზიარებენ საუკეთესო პრაქტიკებს და გამოცდილებებს, თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულია თანამშრომელთა მობილობა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

საერთაშორისო ვალდებულებები და მათი მონიტორინგი

2024 წელს, შემუშავდა ცენტრის საერთაშორისო ვალდებულებების ჩარჩო დოკუმენტი, რომლის მიხედვით ყველა საერთაშორისო ვალდებულება დამუშავდა, შეიქმნა ერთიანი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ცენტრის საერთაშორისო ვალდებულებებს შემდეგი მიმართულებებით: ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება; კვალიფიკაციების განვითარება, ადრეული და სკოლამდელი განათლება; ENQA-ს რეკომენდაციები; ზოგადი განათლება და სერვისების განვითარების მიმართულება.

საქართველოს მთავრობასა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის სასესხო შეთანხმების ადამიანური კაპიტალის პროგრამის შიდა აუდიტორული ანგარიშის რეკომენდაციების საფუძველზე, ცენტრმა შეიმუშავა DLR 2.1.2-ის და DLR 2.1.6-ის სამოქმედო გეგმის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც წარმოდგენილები არიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ წარმოდგენილი DLR-ების წარმატებით შესრულება.

2024 წელს, DLR 2.1.2-ის ფარგლებში, ავტორიზაცია გაიარა ჯამში 104-მა სამსაფეხურიანმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თემატიკაზე ჩატარდა ტრენინგები, იმ სკოლებისთვის, რომლებმაც 2023 წელს გაიარეს ავტორიზაცია. ავტორიზაციის პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, გაიმართა სამუშაო და გაცნობითი სახის შეხვედრები საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთან და ავტორიზაციის ექსპერტებთან.

2024 წელს, DLR 2.1.6-ის ფარგლებში, დასრულდა ყველა მიმართულების ექსპერტთა კონკურსი. ექსპერტთა კორპუსი ჯამში 257 ექსპერტით დაკომპლექტდა. მეორე და მეოთხე სტანდარტებისთვის ჩატარდა ტრენინგები. ტრენინგებმა 2025 წლის ავტორიზაციის გრაფიკში გათვალისწინებული ყველა საბავშვო ბაღი მოიცვა. ჩატარდა კონსულტაციები ავტორიზაციის განაცხადების წარდგენასთან დაკავშირებით. კონსულტაციები მოიცავდა 2025 წლის ავტორიზაციის გრაფიკში შეტანილ ყველა საბავშვო ბაღს. ბაღებისთვის ჩატარდა ტრენინგი I და III სტანდარტის დანერგვის მიმართულებით. ტრენინგებმა დაფარა საჯარო და კერძო ბაღები და ბაღების გაერთიანებები. ჩატარდა ავტორიზაციის საბჭოს სხდომის სიმულაციური სხდომა. ასევე, გაიმართა საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიება.

ERASMUS + პროგრამები

Micro-GEAR

ცენტრი მონაწილეობს "ერაზმუს+"-ის გრანტით დაფინანსებულ პროექტში - "მიკროკრედიტები საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემებისთვის: სამხრეთ კავკასიის შუქურა (Micro-GEAR)", განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, საქართველოს უნივერსიტეტთან და საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია "გრენა"-სთან ერთად. პროექტში პარტნიორის სტატუსით ჩართულია სომხეთი, იტალია, გერმანია და ესპანეთი. 2024 წლის 28-29 ნოემბერს, შპს. საქართველოს უნივერსიტეტში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა. პროექტის ფარგლებში ცენტრის წარმომადგენელი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა იტალიის დედაქალაქ რომში, რომელსაც უმასპინძლა რომის ევროპულმა უნივერსიტეტმა და იტალიის აკადემიური შესაბამისობისა და მობილობის საინფორმაციო ცენტრმა (CIMEA). ვიზიტის ფარგლებში განხიხილეს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვის მიმართულებით იტალიისა და სხვა საერთაშორისო პრაქტიკები.

PROFFORMANCE+

ცენტრი აგრძელებს მონაწილეობას Profformance + ის პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში. 2024 წლის განმავლობაში, PROFFORMANCE+ პროექტით გათვალისწინებული აქტივობები მიემართებოდა უმაღლეს განათლებაში სწავლა-სწავლების ხარისხის მხარდაჭერას. კერძოდ, გაგრძელდა მუშობა სწავლა-სწავლების შეფასების ინსტრუმენტის (PAT) გაუმჯობესებაზე, ქართულ ენაზე ითარგმნა PAT ვებგვერდზე განსათავსებლად ტექნიკური მართვის წინადადებები, ასევე, უზრუნველყოფილია უკვე ნათარგმნი კითხვარის დებულებების კორექცია და საბოლოო ვერსიის გაზიარება პროექტის გუნდისთვის. შედეგად, PROFFORMANCE შეფასების ინსტრუმენტის ვებგვერდს დაემატა PAT ქართულენოვანი გვერდი. ამასთანავე, ცენტრის მოწვევით, თბილისში 2024 წლის 16-18 იანვარს ორგანიზებულია პროექტის კონსორციუმის შეხვედრა და ექსპერტთა ვორქშოფი. სამუშაო შეხვედრაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროექტის 8 სხვადასხვა ევროპული ქვეყნის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, უმაღლესი განათლების ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

ETHICS

ცენტრი აგრძელებს Responsible Conduct of Research: Research Integrity and Ethics in Georgian Universities (ETHICS) ETHICS პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ხელშეწყობას, რომლის ფარგლებში, 2024 წლის 8-12 აპრილს, ცენტრის წარმომდგენლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ამსტერდამის თავისუფალ უნივერსიტეტში. ცენტრის მხრიდან პროექტის საკოორდინაციო ჯგუფს გაუზიარდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების ბოლო სამუშაო ვერსიები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

2024 წელს, „კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ Erasmus+ პროექტის ფარგლებში, დაიწყო ცენტრის თანამშრომლებისა და აკრედიტაციის ექსპერტთათვის ტრენინგების განხორციელება იმ სიახლეებთან დაკავშირებით, რომლებსაც სადოქტორო განათლების ჩარჩო დოკუმენტი სთავაზობს სისტემას. ტრენინგის მოდულის მიხედვით, სამუშაო შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო პრაქტიკების გაცნობაზე, ჩარჩო დოკუმენტით შეთავაზებული ძირითადი ინდიკატორების თავისებურებებზე, ინსტიტუციებში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის მექანიზმების დანერგვაზე და სხვა საკითხებზე. ტრენინგების ციკლის დასრულება დაგეგმილია 2025 წლის მარტამდე.

HEAL

2024 წლის 3-7 ივნისს Erasmus+-ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის - Erasmus+ CBHE Strand 1 HEAL / ,,განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურების გაძლიერება და ექიმ-სტომატოლოგთა უწყვეტი განათლების ხელშეწყობა საქართველოში (HEAL)” ფარგლებში ცენტრის წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ თურქეთში, ქ. სტამბულში და 30 ივნისიდან 2024 წლის 5 ივლისის ჩათვლით, სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ბულგარეთში, ქ. სოფიაში. სამუშაო ჯგუფი დეტალურად გაეცნო, სტომატოლოგიის მიმართულებით უნივერსიტეტში არსებულ დანადგარებს, მულაჟებს, ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურების შესახებ დამ გაგვიზიარეს უნივერსიტეტში არსებული საუკეთესო პრაქტიკები.
ცენტრის წარმომადგენელი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ერაზმუს + პროექტის - “განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურების გაძლიერება და ექიმ-სტომატოლოგთა უწყვეტი განათლების ხელშეწყობა საქართველოში”HEAL ფარგლებში 2024 წლის 26-30 მაისს პოლონეთის ქალაქ პოზნანში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ექიმ-სტომატოლოგთა გაძლიერებას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტომატოლოგიის პროგრამების სასწავლო გეგმის განახლების გზით და სტუდენტების აღჭურვა იმ ცოდნითა და უნარებით, რაც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტებისთვის მაღალი ხარისხის სტომატოლოგიური მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად.

DUGEOR

საანგარიშო პერიოდში ცენტრი მონაწილეობდა „საქართველოს უმაღლეს განათლებაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერების“ პროექტში - DUGEOR, როგორც პროექტის პარტნიორი. 2024 წლის განმავლობაში შედგა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა თბილისში და ჩატარდა კონფერენცია ბათუმში. ამასთან, მომზადდა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით კვლევა DUGEOR-ის ზოგად მოდელზე. ასევე, გაკეთდა DUGEOR-ის ქართული მოდელი რამდენიმე პროგრამაზე და ბათუმის კონფერენციაზე შედგა მათი პრეზენტაცია. პროექტში ქართული უნივერსიტეტების გარდა ჩართულები არიან გერმანიის, ავსტრიისა და სერბეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები.

PRODIGE

ცენტრი ჩაერთო ერასმუსის პროექტში - „ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში (PRODIGE)“, რომლის მთავარი მიზანია ციფრული უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საქართველოში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების გზით. პროექტის ფარგლებში, პროექტში ჩართული ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სტრატეგიულ გეგმას ხარისხიანი ციფრული განათლების უზრუნველსაყოფად, რომელიც სრულად იქნება შესაბამისობაში ევროპის საუკეთესო სტანდარტებთან. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, როგორც სწავლა/სწავლების კომპონენტის დიჯიტალიზაცია ტრენინგების, ვორქშოფების, სასწავლო ტურების, მეთოდოლოგიების, შესაბამისი სასწავლო მოდულებისა და სასწავლო მასალების შემუშავების საშუალებით, ასევე, მარეგულირებელი ჩარჩოს, საკანონმდებლო და ხარისხის უზრუნველყოფის პაკეტის განახლება.

QUATRA-TPG A

2024 წლის 27 ივნისს, ცენტრის წარმომადგენელი მონაწილეობდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის - “კვალიფიკაციების ჩარჩო ნდობის, გამჭვირვალობისა და მრავალფეროვნებისთვის - TPG A” (QUATRA) ფარგლებში ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრა ჩატარდა ქ.რიგაში (ლატვია). შეხვედრაზე განხილულ იქნა პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები.

წევრობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებში

ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნად გახდომის შემდეგ, ცენტრიდან EQAVET-ის ქსელში გაიგზავნი რამდენიმე საკონტაქტო პირის მონაცემები. EQAVET-ის ქსელი წარმოადგენს ევროპულ ჩარჩოს, რომელიც შექმნილია პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ხარისხის უზრუნველყოფის მხარდასაჭერად. ის მიზნად ისახავს პროფესიული განათლების ხარისხის, შესაბამისობისა და მიმზიდველობის გაუმჯობესებას. ამასთან, EQAVET-ის ქსელი არის თანამშრომლობითი პლატფორმა, რომელიც მხარს უჭერს მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლებას მთელ ევროპაში, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური სამუშაო ძალისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევას.

თავი III - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

2024 წელი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისთვის დატვირთული წელი იყო გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების აქტივობებით და შედეგებით, რაც არსებითია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების თანმიმდევრული განვითარებისათვის.

2024 წელს დასრულდა 2023 წლის ბოლოს დაწყებული გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, რომელიც გულისხმობდა უცხო ქვეყანაში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის განხორციელებას. კერძოდ, საერთაშორისო აკრედიტაცია გაიარა უცხო ქვეყნის ინსტიტუციის მედიცინის სამმა ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამამ, რომელთა შეფასების პროცესში ჩართულები იყვნენ ბრიტანელი, უნგრელი, ქართველი და უცხოური უნივერსიტეტის აკრედიტაციის

ექსპერტები. ცენტრის მიერ განხორციელებული საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესი უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით ცენტრში არსებული გამოცდილების გაზიარებას, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ამაღლებას და საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებით განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერას, ასევე ადგილობრივი ექსპერტების და ცენტრის წარმომადგენლების პროფესიულ განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ გამართა 54 სხდომა, განიხილა 285 საკითხი და გაწეული მუშაობის შედეგად:

- კლასტერული შეფასება გაიარა და აკრედიტაცია მიენიჭა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების 25 კლასტერს; ინდივიდუალური შეფასება გაიარა და აკრედიტაცია მიენიჭა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 65 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას;
- შეფასდა და აკრედიტაციის საბჭოზე განხილულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების 156 ანგარიში;
- აკრედიტაციის საბჭოზე განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის (გეგმური, არაგეგმური) 37 ანგარიში;
- ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 21 სხდომა, განიხილეს 41 საკითხი: მათ შორის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი - 25, 4 გეგმიური მონიტორინგი, 11 - არაგეგმიური მონიტორინგის საკითხი, 1 საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში (ერთწლიანი);.
- ჩატარდა სააპელაციო საბჭოს საჩივრის ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღებისა და სააპელაციო საჩივრის განხილვის 12 სხდომა.

უმარღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის მიზნით, 2024 წელს ჩატარდა 38 ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა ავტორიზაციისა და კლასტერული აკრედიტაციის საკითხების თავისებურებების თაობაზე.

2022 წელს, განახლებული მედიცინის დარგობრივი მახასიათებელის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარეობს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანა. 2024 წელს მიმდინარეობდა კლინიკების მონიტორინგის კონცეფციის შემუშავება, რომელსაც განიხილავს მედიცინის დარგობრივი საბჭო და რომელიც გულისხმობს უსდ-ებს და კლინიკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ერთიანი ელექტრონული ბაზის შემუშავებას.

უმაღლესი განათლების სფეროში თანმიმდევრული ნაბიჯების შედეგად, სისტემის მხარეთა ერთობლივი აქტივობებით დასრულდა შესაბამისი სამუშაოები და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან კავშირში, დამტკიცდა სადოქტორო განათლების ჩარჩო დოკუმენტი. ცენტრის მიერ შემუშავებული დოკუმენტი 2023-2024 წლების განმავლობაში განვითარდა „კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა - კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ Erasmus+ პროექტის ფარგლებში. დოკუმენტის გამოკვეთილი ნაწილია კვლევითი გარემოს ხარისხის უზრუნველყოფა, აკადემიური კეთილსინდისიერების,

კვლევით ეთიკის საკითხები, დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისების განვითარება, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის მხარდაჭერა, სადოქტორო სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და სხვა. დოკუმენტის კონცეფციის მიხედვით, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში კვლევითი გარემოს და სადოქტორო სტრუქტურების შექმნა, რომლის დოქტორანტები იქნებიან მიმდინარე კვლევების აქტიურ მონაწილეები, ახალგაზრდა მკვლევარებს მიეცემათ მრავალფეროვანი შესაძლებლობები პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის. დოკუმენტი ეფუძნება უახლესი საერთაშორისო გამოცდილების კომპლექსური კვლევას და ანალიზს. კერძოდ, იგი ითვალისწინებს სადოქტორო განათლების მოთხოვნების ერთობლიობას და ეფუძნება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს და სადოქტორო განათლების სახელმძღვანელო პრინციპებს, მათ შორის, ,,ზალცბურგ - II სახელმძღვანელო პრინციპებს სადოქტორო პროგრამებისა და სკოლების მრავალფეროვნებისა და განვითარებისთვის“ და ვენის დეკლარაციას სახელოვნებო კვლევებისთვის.

ცლილებები შევიდა „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში. ცვლილებამდე განსაზღვრული იყო, რომ არანაკლებ 60 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება შესაძლებელი იყო მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის. რექტორთა კონფერენციაზე დაფიქსირებული მოსაზრებების გათვალისწინებითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კონსულტაციის შედეგად გამოიკვეთა არანაკლებ 60 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამების შემუშავების შესაძლებლობის გაფართოვების საჭიროება ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროს ფარგლებში. შესაბამისად, დაინიცირებული ცვლილებებით, არანაკლებ 60 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის, არამედ ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნებისთვისაც.

ცვლილება ასევე შეეხო არანაკლებ 60 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას. სამაგისტრო საფეხურზე წესის მოქმედების ფარგლების გაფართოვების შედეგად, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებული შეიძლება იყოს ბიზნესი და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნებისთვის პროგრამების მიხედვით არანაკლებ 60 კრედიტიან პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. 60 კრედიტიანი პროგრამებისთვის ჩარიცხვის წესს განსაზღვრავს თავად საგანმანათლებლო დაწესებულება და აღარ არის სავალდებული საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარება, ხოლო EMBA პროგრამებთან მიმართებით, აპლიკანტს ასევე მოეთხოვება დამატებით, სავალდებულო არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება მართვის/ადმინისტრირების სფეროში.

ცვლილება შევიდა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში“ და დამტკიცდა სადოქტორო განათლების ჩარჩო დოკუმენტი. ცვლილება მიზნად ისახავდა, ხელი შეეწყო სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობას საქართველოში. ცვლილების ფარგლებში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის

განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი სპეციალური მოთხოვნებს. დამტკიცებული სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს სადოქტორო საფეხურის კვლევის სპეციფიკას და კვლევითი გარემოს განვითარებისთვის შეფასების ინდიკატორებს კვლევის თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით და ეფუძნება უახლესი საერთაშორისო გამოცდილების კომპლექსური კვლევას და ანალიზს. კერძოდ, იგი ითვალისწინებს სადოქტორო განათლების მოთხოვნების ერთობლიობას და ეფუძნება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს და სადოქტორო განათლების სახელმძღვანელო პრინციპებს, მათ შორის, ,,ზალცბურგ - II სახელმძღვანელო პრინციპებს სადოქტორო პროგრამებისა და სკოლების მრავალფეროვნებისა და განვითარებისთვის“.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, 2024 წლის 4 ივლისს ძალაში შევიდა ცვლილებები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, განისაზღვრა, რომ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალს, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მაქსიმალურ რაოდენობას, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი. პროექტით დამტკიცდა დანართები სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე, რომელთა ფარგლებშიც დაშვებულია უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, ან პროგრამის ცალკეულ კომპონენტებზე ელექტრონული სწავლება. განისაზღვრა სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული ის დეტალური სფეროები, რომელთა განხორციელებაც, სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გულისხმობს ისეთი პრაქტიკული კომპონენტის არსებობას, რომელიც მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის ფიზიკურად ერთ სივრცეში ყოფნას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბრძანებით დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე ელექტრონული სწავლების განხორციელების წესი, რომლითაც განისაზღვრა კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული, ასევე ჩამოყალიბდა ელექტრონული სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული პირობები.

ცვლილება შევიდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებაში. პროექტის შემუშავების მიზანი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მუშაობაში ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულ წევრებთან მიმართებით კვორუმის ცვლილება, კერძოდ საბჭოს მუშაობაში მათი სავალდებულო ჩართულობა ნაცვლად 3/4-სა განისაზღვრა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, რაც პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, აღნიშნული საბჭოს მუშაობის და ავტორიზაციის პროცესის ეფექტურად წარმართვას უზრუნველყოფს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი

2024 განხორციელდა ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროების მიმართულებით აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაციის პროცესი, ამავდროულად, დაიწყო მზადება 2025 წლის

განათლების, გარემოსა და ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროებში ექსპერტთა რეკრუტირებისთვის.
2024 წელს, მნიშვნელოვნად გამრავალფეროვნდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსები როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო ექსპერტებით. ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსს დაემატა 147 ახალი ექსპერტი, ხოლო აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსს შეემატა 111 ექსპერტი.

კვალიფიკაციების განვითარება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარება

2024 წელს დაიწყო და გრძელდება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესი. აღნიშნული პროცესის დასრულება 2026 წლისთვის იგეგმება. მოცემული აქტივობა მნიშვნელოვანია რათა, მოხდეს ეროვნულ დონეზე არსებული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თავსებადობის დადგენა ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. აღნიშნული პროცესი ხორციელდება ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსა (EACEA) და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამის წარმატებით განხორციელება, ასევე, უზრუნველყოფს სემინარებისა და საჯარო განხილვების გზით დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდას განათლების ქვესისტემებისა (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი) და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნული ხორციელდება ერაზმუს +-ის ფინანსური მხარდაჭერით. განხორციელების პერიოდი: 2024-2026 წლები.
2024 წელს დაიწყო და 2025 წელს გაგრძელდება კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შემუშავების პროცესი. აღნიშნული აქტივობის დასრულება უზრუნველყოფს საქართველოში მინიჭებული კვალიფიკაციების გამჭვირვალობის გაუმჯობესებას. ამ პროცესის დასრულება ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ გაცემული დიპლომების საზღვარგარეთ აღიარების პროცესის გამარტივებას და საერთაშორისო დონეზე აღიარების მექანიზმების ეფექტიანობას.
მუშაობა მიმდინარეობდა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებისა და განახლების მიმართულებით. 2024 წლის მდგომარეობით, ჯამურად უკვე შემუშავებულია 62 უმაღლესი დარგობრივი მახასიათებელი, აქედან, 2024 წელს შემუშავდა და დამტკიცდა 19 უმაღლესი დარგობრივი მახასიათებელი (საჯარო მმართველობა; განათლების ადმინისტრირება; თარგმანმცოდნეობა; ბიომედიცინა/ბიოსამედიცინო მეცნიერებები; გარემოს დაცვის მენეჯმენტი; ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი; მევენახეობა და მეღვინეობა; მასწავლებლის მომზადება; მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები; ბიზნეს-ანალიტიკა; სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია; ეკოლოგია; აგრონომია; ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (ICTs); სურსათის ტექნოლოგია; სკოლამდელი განათლება; ზოგადი განათლების საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებლი) და განახლდა 3 არსებული დარგობრივი მახასიათებელი (მენეჯმენტი; მასწავლებლის მომზადება, სატყეო საქმე). ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის

2005/36 დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად, 2024 წელს დამტკიცდა საექთნო საქმის უმაღლესი განათლების მახასიათებელი.
საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, განხორციელდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგის პროცესი, რომელიც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ხორციელდება. მონიტორინგის პროცესში შექმნილ სამუშაო ჯგუფებმა მონიტორინგის გეგმის შესაბამისად შეიმუშავეს მონიტორინგის ანგარიში. ანგარიშზე დაყრდნობით მომზადდა რეკომენდაციების პაკეტი. ანგარიში და რეკომენდაციების პაკეტი ცენტრის მრჩეველთა საბჭოსთან და ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმდა.
ცენტრსა და გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის თანამშრომლობის ფარგლებში, სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის განსახილველად ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს სკოლამდელი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებით წარმოდგენილი რეკომენდაციები.
ცენტრსა და USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის თანამშრომლობის ფარგლებში, საჯარო მმართველობის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის განსახილველად ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ცენტრის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, USAID-ის წარმომადგენლებთან და მოწვეულ ექსპერტებთან ერთად. შეხვედრაზე განიხილეს საჯარო მმართველობის ახალი დარგობრივი მახასიათებლის ძირითადი თავისებურებები.

თავი IV - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

პროფესიული განათლების მიმართულებით, 2024 წელს, ავტორიზაცია გაიარა სამმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (ახალი კოლეჯები); ასევე, 21-მა (20 საჯარო და ერთი კერძო) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. წლის განმავლობაში სისტემას დაემატა 54 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
2024 წლის მონაცემებით ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 12 სხდომა, სადაც განიხილეს 97 საკითხი. ჩატარდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 25 სხდომა და განიხილეს 200 საკითხი.
ცენტრმა, დოკუმენტების შემუშავების, მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების და სხვა გზით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში. დაიგეგმა და განხორციელდა მთელი რიგი აქტივობები, რის შედეგადაც 2024 წლის 15 სექტემბერს, 20 საჯარო სკოლაში 23 პროფესიულ პროგრამაზე დაიწყო სასწავლო პროცესი.
2024 წლის პერიოდში, სისტემას დაემატა 26 ინტეგრირებული პროგრამა და დღეისათვის სიტემაში არის 116 ინტეგრირებული პროგრამა, ხოლო სულ პროფესიული განათლების სისტემაში დანერგილია 861 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,
2024 წლის პერიოდში დაემატა 24 სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამა (მათ შორის 2 დუალური), დღეისათვის სისტემაში არის 149 სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამა (დუალური/კოოპერაციული), მათ შორის 64 - დუალური. დღეის მდგომარეობით პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 596 პროგრამაა ხელმისაწვდომი.

2024 წლის პერიოდში, 230 მომზადება/გადამზადების პროგრამა დაემატა სისტემას, მათ შორის 35 იურიდიული პირის 74 პროგრამა.
საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით გრძელდებოდა პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის შეფასება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (EQAVET) ინდიკატორების მიხედვით. გრძელდება რვა EQAVET ინდიკატორის ავტორიზაციის სტანდარტებში ინტეგრირების პროცესი.
პირველად განხორციელდა თვითშეფასება თვითშეფასების 360 გრადუსიანი ელექტრონული სისტემის კითხვარებით, რომელიც ადაპტირებულია და მიემართება 6 კონკრეტულ ინდიკატორს, რომელთა დაკავშირებითაც ჩართული მხარე წარმოადგენს რელევანტურ პირს კითხვისთვის პასუხის გასაცემად.
განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობითი ვიზიტები, რომლებმაც კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობება მისცა პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებს, რომ ერთმანეთს გაუზიარონ მათ ინსტიტუციებში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკები.
განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის ცნობიერების ამაღლება და მათი როლისა და ფუნქციის გამოკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების განხორციელების პროცესში. ტრენინგების ციკლი სულ 76 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 467 ადმინისტრაციული პერსონალისთვის განხორციელდა. აქტივობა ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით ერთნაირი მიდგომების ჩამოყალიბებისა და ხარისხის მექანიზმების განხორციელების პროცესში ადმინისტრაციული პერსონალის როლისა და ფუნქციების გააზრებას.
ამასთან, 2024 წელს, განხორციელდა 42 დაწესებულების 1,083 მასწავლებლის შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.
ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას - „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში (VET ფაზა 3)“ შორის შეთანხმების სტანდარტული წერილით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის თვითშეფასების პროცესის პილოტირება გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში შემუშავებული დირექტორების სტანდარტის საფუძველზე. პილოტირებაში მონაწილეობა მიიღო 13 საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელმა.
როფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისათვის ჩატარდა შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგი. ტრენინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა პროფესიული პროგრამების შრომის ბაზართან შესაბამისობის შეფასებაზე და პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ცხრილის საჭიროებაზე, ასევე, ექსპერტთა დასკვნის შედგენის ძირითად ასპექტებზე და ექსპერტთა ვიზიტის დროს ჯგუფის მხრიდან დასმული კითხვების სწორ ფორმულირებაზე. ტრენინგი დატვირთული იყო პრაქტიკული სამუშაოებით.
განხორციელდა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების/იურიდიული პირების შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. შეხვედრებს ესწრებოდა 115 პირი და 37 პროვაიდერი. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული

მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების დისტანციური სწავლებით განხორციელების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 150-მდე პირი, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გამახორციელებელი დაწესებულებების, ასევე პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი 31 იურიდიული პირის წარმომადგენლები.
ჩატარდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა კონფერენცია. კონფერენციაზე განიხილეს პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი საკითხები - მიღწევები და გამოწვევები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში.
2024 წელს, განხორციელდა პროფესიული, უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების თავსებადობის დადგენა და ანალიზი. სწორედ განხორციელებული ანალიზის საფუძველზე, მოხდა 20 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უფლების მოპოვების პროცესის ადმინისტრირება.

არაფორმალური განათლება

2024 წელს, არაფორმალური განათლების აღიარების უფლება დამატებით მოიპოვა სამმა დაწესებულებამ, დღეისათვის ეს უფლება მოპოვებული აქვს 14 დაწესებულებას. არაფორმალური განათლების აღიარების სერვისი ხელმისაწვდომია სწავლის 11 ფართო სფეროში.
შეხვედრა ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესსა და პირობებზე, ასევე, არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასა და არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევა, სერტიფიცირება და სტატუსის შეწყვეტის საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდა 69 პირი 53 დაწესებულებიდან..
2024 წელს, არაფორმალური განათლების აღიარების შვიდმა სერტიფიცირებულმა კონსულტანტმა წარმართა სულ 41 აღიარების პროცესი, რომელთა ფარგლებშიც 20-მა მაძიებელმა მოიპოვა ნაწილობრივი აღიარება, ხოლო 20-მა სრული აღიარება და ერთმა მაძიებელმა უარი მიიღო აღიარებაზე.

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა

2024 წელს, გაიმართა სამუშაო შეხვედრა პროფესიული საჯარო მოხელის, პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ახალ შემადგენლობასთან. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების, აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრული სტანდარტები და ინდიკატორები, აკრედიტაციის პროცესი და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს საქმიანობის წესი. ასევე, აკრედიტაციის საბჭოს და

ცენტრის თანამშრომლობის კოორდინაციის საკითხები. ადმინისტრირება გაეწია აკრედიტაციის საბჭოს 3 სხდომას.
2024 წელს, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტებულ დაწესებულებებთან განხორციელდა 10 საკონსულტაციო შეხვედრა.

თავი V - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

2024 წელს, ცენტრში წარდგენილია 121 საჯარო სკოლის საავტორიზაციო განაცხადი. 2024 წელს დასრულდა 126 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოება (მათ შორის 7 წარმოება დაიწყო 2023 წელს და საბჭოს გადაწყვეტილება 2024 წელს გამოიცა). ყველა სკოლის ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება, შესაბამის დასკვნასთან და თანდართულ ოქმთან ერთად გამოქვეყნებულია ცენტრის ვებგვერდზე. . 2024 წელს, ავტორიზაცია მოიპოვა 104 სამსაფეხურიანმა და 22 ორსაფეხურიანმა საჯარო სკოლამ. 2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ახალი სტანდარტებით სულ ავტორიზებულია 458 საჯარო სკოლა.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 49 სხდომა ჩატარდა, განიხილეს 355 საკითხი; დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2024 წლის გეგმური მონიტორინგის გეგმა; დასრულდა ადმინისტრაციული წარმოებები, კერძოდ: საჯარო სკოლის ავტორიზაცია - 126, კერძო სკოლა - 15; ავტორიზაციის პირობების შემოწმება (გეგმიური მონიტორინგი) - კერძო სკოლა - 7. ავტორიზაციის პირობების შემოწმება (არაგეგმიური მონიტორინგი) – კერძო სკოლა - 8. კვოტის გაზრდა - 4 (1 - საჯარო სკოლა, 3 - კერძო სკოლა); ფართის ცვლილება - 3 (კერძო სკოლა).
ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წარმომადგენლებისთვის ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული სიახლეების გაცნობის მიზნით (ესგ-ს ცვლილებები, დებულების ცვლილებები, ფორმების ცვლილებები, მონიტორინგის საკითხები) - სულ 5 შეხვედრა.
საბჭოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით დამუშავდა 2023 წელს განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგები. . შედეგები განხილული იყო „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დანერგვასთან, საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესის წარმართვასთან და საქართველოს და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის სასესხო შეთანხმება "ადამიანური კაპიტალის პროგრამის" ფარგლებში. ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ჩარჩოს დანერგვის პროცესში ჩართული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით გაიმართა სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლებთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებთან.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის №235 დადგენილებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხო ქვეყნის იმ უფლებამოსილ ინსტიტუტთან ხელშეკრულების გაფორმების წესი და პირობები, რომლებიც ახორციელებენ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას, რომლითაც დეტალურად განისაზღვრა ხელშეკრულების დადების წინაპირობები და პროცედურა.
აღნიშნული წესის შესაბამისად, შემუშავდა ხელშეკრულების ნიმუში. 2024 წელს, განხორციელდა ამერიკული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის - American International Accreditation Protocol აღიარება, რომლის საფუძველზე დეკემბერში ხელშეკრულება

გაფორმდა ცენტრსა და Cognia-ს ორგანიზაციას შორის.
2024 წელს, განხორციელდა Cambridge International Education-ის საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის - Cambridge Pathway-ის ხელახალი აღიარება, რომლის საფუძველზე აგვისტოს თვეში ცენტრსა და Cambridge International Education-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

თავი VI - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2024 წელს დამტკიცდა ავტორიზაციის განრიგი, რომლითაც განისაზღვრა 2025-2030 წლამდე პერიოდში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის რიგითობა. შესაბამისად, 2025 წლის განმავლობაში, ავტორიზაციის პროცესს პირველად 125 საბავშვო ბაღი გაივლის.
2024 წელს, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ბაღების მიერ განხორციელდა დიაგნოსტიკური თვითშეფასება. 2,047 დაწესებულებიდან გაანალიზდა 2025 ბაღის მონაცემი.
დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ასამოქმედებლად, პირველ ეტაპზე შემუშავდა "დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ასამოქმედებლად მეთოდოლოგიური პაკეტის მომზადების კონცეფცია". სამუშაოები კონცეფციის შესაბამისად განხორციელდა.
ცვლილებები შევიდა ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებაში. ცვლილების მიხედვით, გაფართოვდა დროებითი წესის რეგულირების საზღვრები და დროებითი წესის წარმოდგენილი პროექტი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან ერთად შეეხო იმ კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსაც, რომლებსაც სურთ მოიპოვონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების/სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების უფლება. ასევე, დაზუსტდა ის მახასიათებლები, რომელთა საფუძველზეც პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ პროგრამად.
მომზადდა და ცენტრის ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი მეთოდოლოგიური დოკუმენტები: კურიკულუმის შექმნა/შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია; საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის მეთოდოლოგია; პერსონალის მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია; დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები; ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია; სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია; პროცედურების დოკუმენტი ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის. ასევე მომზადდა: 11 მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისი 11 რეგულაცია/წესი; მომზადდა შესაბამისი 11 სატრენინგო მოდული და შესაბამისი მასალები; დაიბეჭდა „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევის“ 300 ეგზემპლარი და გადაეცა დაინტერესებულ მხარეებს.

ცენტრის ორგანიზებითა და ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის (WB) მხარდაჭერით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ავტორიზაციის სიმულაციური პროცესის ორდღიანი დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. 2024 წლის განმავლობაში, სიმულაციური ავტორიზაცია 6 დაწესებულებაში განხორციელდა.
შესაძლებლობების გაძლერების მიმართულებით, განხორციელდა 3-დღიანი გასვლითი შეხვედრა "ავტორიზაციის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა და ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერება". ამასთან, ჩატარდა კვების მიმართულების, სანიტარია-ჰიგიენისა და კურიკულუმის ექსპერტების ახალი ნაკადისთვის შესავალი ტრენინგები ავტორიზაციის სტანდარტებთან და ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ჩატარდა სამდღიანი სამუშაო შეხვედრა კურიკულუმის ექსპერტების ახალი ნაკადისთვის თემაზე: "კურიკულუმი „თამაშის“ შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით". სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, ასევე დაიფარა სტანდარტებისა და კომპონენტების შეფასების თემა. გაიმართა სამუშაო შეხვედრა კვების მიმართულების ექსპერტებთან მეთოდოლოგიური დოკუმენტების/ინსტრუმენტებისა და შეფასების სისტემის გაცნობის, ასევე, საავტორიზაციო ვიზიტის მოსამზადებელი ფაზის გაცნობასთან დაკავშირებით პრაქტიკულ ქეისებზე დაყრდნობით. სამუშაო შეხვედრების ეფექტიანობის გაზომვის მიზნით ექსპერტების შესაფასებლად პირველად იქნება გამოყენებული პრე და პოსტ ტესტები. ჩატარდა კურიკულუმის ექსპერტების ახალ ნაკადთან 3 საათიანი ტრენინგი დისტანციური ფორმატით თემაზე: "საერთაშორისო კურიკულუმების (რეჯიო ემილია, მონტესორი, ვალდორფი) გაცნობა". ჩატარდა ხარისხის ექსპერტებისთვის 2-დღიანი ტრენინგი ონლაინფორმატით (2024 წელს შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების გაცნობის და გამოყენების მიზნით). ხარისხის ექსპერტების 2 ჯგუფთან ავტორიზაციის დასკვნის წერის უნარების გასაუმჯობესებლად ჩატარდა 2-დღიანი სამუშაო შეხვედრები. ჩატარდა კურიკულუმის ექსპერტების 2 ჯგუფთან ავტორიზაციის დასკვნის წერის უნარების გასაუმჯობესებელი 2-დღიანი სამუშაო შეხვედრები.
ავტორიზაციის პროცესში მუნიციპალიტეტის წარმოადგენლობის ჩართულობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, გადამზადდდა 68 მუნიციპალიტეტის 2-2 წარმომადგენელი; დამატებით, მჭირდო თანამშრომლობის ხელშესაწყობად, განხორციელდა 68 მუნიციპალიტეტისა და შესაბამისი 68 გაერთიანების წარმომადგენლისთვის 2 საინფორმაციო შევხედრა, რომელიც ეძღვნებოდა 2023-2024 წლებში ცენტრის მიერ გაწეული მხარდაჭერის ღონისძიებების შეჯამებასა და 2025 წლის ავტორიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.
ამასთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა 3 ტრენინგი (3-3 დღიანი). შეხვედრებმა დაფარა ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

თავი VII - საგანმანათლებლო სერვისების განვითარება

ცენტრმა, მონაწილეობა მიიღო ჰოლანდიისა და იტალიის ENIC-NARIC ცენტრების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო პროექტში, რომელიც უზრუნველყოფდა ENIC-NARIC ცენტრებში აღიარების პროცედურების გაუმჯობესების სტანდარტებისა და გაიდლაინების კონცეფციების შემუშავებას. პროექტი ეფუძნება ლისაბონის აღიარების კონვენციის (LRC) კრიტერიუმებს. პროექტის ფარგლებში მომზადდა ცენტრის თვითშეფასების დოკუმენტი, რომელიც 6 სტანდარტისაგან შედგება. თვითშეფასების განხილვა უცხოელი კოლეგების ჩართულობით განხორციელდა.

2024 წლის აგვისტოში განხორციელდა შესაბამი საკანონმდებლო ცვლილებები, რის შედეგადაც სინქრონიზაციაში მოვიდა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ცენტრის კომპეტენციებში შემავალი დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის სერვისის მიწოდების ვადები და საფასურები.
საანგარიშო პერიოდში ცენტრში მატერიალური სახით შენახული, აპოსტილი/ლეგალიზაციის სერვისის მიწოდებისათვის საჭირო, 4,000-მდე დაწესებულების 52,000-მდე ხელმოწერისა და ბეჭდის ნიმუში გაციფრულდა და შესაბამის პროგრამაში აისახა. 2025 წლის 15 იანვრიდან პროგრამაში ასახული ნიმუშების მეშვეობით, მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი გახდება აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის დაჩქარებული სერვისი.
ასევე, განხორციელდა 4 საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზი. მომზადებული ანალიზის დოკუმენტები, მოიცავს განათლების აღიარების/ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ინფორმაციას და წევრობის/თანამშრომლობის შესაძლებლობებს. The Association for International Credential Evaluation Professionals (TAICEP), The Groningen Declaration Network, NAFSA Association of International Educators, EAIE - European Association for Internationa Education ჩამოთვლილი ოთხი ორგანიზაციიდან, მიზანშეწონილია ამ ეტაპზე The Association for International Credential Evaluation Professionals (TAICEP)-ში გაწევრიანება.
ცვლილებები შევიდა „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში. მისი შემუშავების საჭიროება განპირობებული იყო წესით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოცდის ჩატარების ნაწილში დადგენილი მოწესრიგების მოდიფიცირების მიზანშეწონილობით.
დოკუმენტის ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მარეგულირებლ აქტებში ცვლილებებით ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებას დაექვემდებარა პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდგომ გაცემული სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი.
ცვლილება შევიდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებაში, „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“. ბრძანების პროექტის შემუშავების საჭიროება განპირობებული იყო საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული წესების სრულყოფის მიზნით, პროცედურული საკითხებისა და აღნიშნული პროცედურით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებისთვის კონკრეტული ვადების დაზუსტების მიზანშეწონილობით. აგრეთვე, ბრძანების პროექტის შემუშავების საჭიროება განაპირობა საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მიზნებისთვის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის უფლების მინიჭების მიზანშეწონილობამ. დეტალურად მოწესრიგდა ცენტრის ფუნქცია საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მიმართულებით, განისაზღვრა ცალკეული პროცედურები და ვადები.
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შედეგად დისტანციური ფორმით მიღებული განათლების აღიარება შესაძლებელი გახდა იმ შემთხვევაში, თუ განათლება დისტანციური ფორმითაა მიღებული საქართველოს ტერიტორიიდან იმ დაწესებულებაში, რომელიც მოქმედებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ან

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე და საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ან დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრი და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR) რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით ან/და მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე და საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საზოგადოების წინაშე ცენტრის სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდის გათვალისწინებით, შესწავლილია საქართველოში სხვადასხვა დაწესებულების მიერ მომსახურების გაწევის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით გათვალისწინებული შეღავათები. სხვადასხვა დაწესებულებების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შემუშავებულია ცვლილებების პროექტი.

საგანმანათლებლო სერვისების განვითარება - სტატისტიკა



სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი N2 ტელეფონი/ფაქსი: +995 32 2 02 21 21 საფოსტო ინდექსი: 0193 ელფოსტა: info@eqe.ge